კონსტრუქციული დასკვნა

საპროექტო ობიექტი: ქ. თბილისი, დიღმის მასივი, კვარტალი I, ჩალაძის ქუჩაზე პურის საცხობი მთავარი საამქროს რეკონსტრუქციის პროექტი

აღნიშნული ობიექტის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ექსპერტიზა ჩატარებულია ჩვენს მიერ 2017 წელს. პროექტის მიხედვით არსებული შენობის (საწარმო) ფასადის მხარეს ახალი სივრცის მოწყობა (მიშენება). აღნიშნული ნაგებობის დაფუძნება, კონსტრუქციები და კვანძები სრულად და დეტალურად შეესაბამება საპროექტო მუშა დოკუმენტაციას:
- სამ საპროექტო მალზე მიმატებულია ერთი სტანდარტული მალი, რის საფუძველზე მიშენება სამმალიანის ნაცვლად გახდა ოთხმალიანი;
- მიმატებული (მეოთხე) მალის კონსტრუქციები იდენტურია და იმეორებს საპროექტო სამმალიანი შენობის კონსტრუქციებს.

ვიზუალური დათვალიერებით და ანალიზით აშენებული კონსტრუქციების მდგომარეობა და ხარისხი სავსებით დამაკმაყოფილებელია. მათი მდგრადობა და მზიდუნარიანობა ეჭვს არ იწვევს.

ექსპერტი,
მშენებლობის ინჟინერ-კონსტრუქტორი,
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი ე. წოწერია

თბილისი 05-03-2022